

საქართველოს ბანკების უხსოვარი კრედიტები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

თეა ბიძინაშვილი
ბიზნესადმინისტრირების დოქტორი

ქეთი ცომაია,
ეკონომიკის დოქტორი

რეზიუმე

ქვეყნების უმრავლესობას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა და შიდა ინვესტიციების განხორციელება საკუთარი ფინანსური რესურსებით არ შეუძლია. ამიტომ ბუნებრივად წარმოიშვა როგორც შიდა, ისე საგარეო სავალო ვალდებულებათა ზრდა. საგარეო ვალეები დამახასიათებელია განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

საქართველოს ბანკები საკრედიტო რესურსებს იძიებენ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია (EBRD), რომელიც უკვე ათი წელია დაკავებულია საქართველოში ბანკების მიზნობრივი დაკრედიტებით. გაცემული კრედიტების მიზნობრიობა განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისთვის.

გარდა ამისა, საქართველოში ასევე მრავალი საკრედიტო რესურსი შემოვიდა სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, ძირითადად გრძელვადიანი კრედიტებისა და საკრედიტო ხაზების სახით.

თუ ქართული ბანკები ვერ შეძლებენ დროულად დაფარონ მათ მიერ უცხოეთიდან აღებული სესხები, ეს კრედიტორები მოთხოვენ საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან მოხდეს ამ დავალიანებების დაფარვა.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა, საკრედიტო რესურსი, უცხოური კრედიტები, საგარეო ვალეები

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ხასიათდება, ერთი მხრივ, ფინანსური რესურსების საერთაშორისო მობილურობის მაღალი დონითა და მასშტაბურობით, მეორე მხრივ, უთანაბრო ეკონომიკური განვითარებით. ქვეყნების უმრავლესობას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა და შიდა ინვესტიციების განხორციელება საკუთარი ფინანსური რესურსებით არ შეუძლია. ამიტომ ბუნებრივად წარმოიშვა როგორც შიდა, ისე საგარეო სავალო ვალდებულებათა ზრდა, მათი შეუსრულებლობის ტენდენცია, რომელიც სულ უფრო კანონზომიერ ხასიათს იძენს.

საგარეო ვალეები დამახასიათებელია განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისათვის. სახელმწიფო ორგანოების მიერ ნასესხები ფული წარმოადგენს სახელმწიფო ვალის ფორმირების წყაროს. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი ქვეყნების საგარეო

დავალიანებაში ნეგატიურ როლს თამაშობს შიდა ფაქტორებიც, რომლებიც ხელს უწყობს პრობლემის გაღრმავებას. ეს ფაქტორებია: ეკონომიკის არაეფექტური სტრუქტურის ჩამოყალიბება, არასწორი სავალო და სავალუტო პოლიტიკა, კაპიტალის გადინება საზღვარგარეთ, ფინანსური კრიზისის გაღრმავება.

სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანა შესაბამისად არ არის კონკურენტუნარიანი. ამდენად, მას ვალის გადახდაც გაუჭირდება. ასეთი ქვეყნების რიცხვს, სამწუხაროდ, საქართველოც მიეკუთვნება, რომელმაც მიიღო განვითარებადი ქვეყნის სტატუსი და შეუერთდა “მესამე სამყაროს”.

უცხოურ კაპიტალს მოაქვს ახალი ტექნოლოგიები, მართვის თანამედროვე ხერხები, სხვა ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და, რაც უფრო მთავარია, თვით ფინანსური სახსრები.[1]

ბანკი, როგორც ბიზნეს ორგანიზაციის ტიპი, მისი თანამედროვე სახით უკვე ექვსას წელზე მეტია რაც არსებობს. ბანკმა ამ ხნის მანძილზე განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც დღემდე აქტიურად გრძელდება. ბანკი, როგორც ადგილობრივი ფინანსური რესურსი, რომლის პროდუქტებზეც მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდათ ხელი, აღარ არსებობს. ბანკი თავისი კლარისკური გაგებით სრულიად განსხვავდება ამ ორგანიზაციის პირვანდელი სახისგან. იგი გადაიქცა საზღვრებს შორის კაპიტალის გავრცელების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად და შეითავსა სრულიად ახალი ფუნქციები, რაც მის წინამორბედს არ გააჩნდა.

ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საბანკო სისტემასა და მის გამართულ მუშაობაზე. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ერთნაირად დააზიანა როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა, რამაც, ცხადია, დიდი გავლენა იქონია ბანკებზე და მათ მიერ შემოთავაზებულ დაკრედიტების პროგრამებზე. ბიზნეს სექტორებიდან ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო მცირე და საშუალო ბიზნესმა, რადგანაც ისინი, თავიანთი ზრდის პოტენციალის მიუხედავად, მნიშვნელოვან რისკებს წარმოადგენენ და, ცხადია, მათი დაკრედიტება უფრო გართულდა. ასევე გართულდა უცხოური საკრედიტო რესურსების მოზიდვა და შესაბამისად ბანკებში არსებული ფინანსები.

საქართველოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სფერო საბანკო სექტორია.

საერთაშორისო კრედიტი არის კრედიტის ისეთი

ფორმა, რომლის დროსაც ერთი რომელიმე ქვეყნის მფლობელები, სხვადასხვა საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციები კრედიტს იღებენ მეორე სახელმწიფოსაგან ან საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებისაგან განსაზღვრული ვადითა და პირობებით.

საქართველოს ბანკები საკრედიტო რესურსებს იძიებენ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან, რომლებიც მოიცავენ როგორც სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტციონალურ ინვესტორებს, მათ შორის უმსხვილეს სადაზღვეო და გადამზღვეველ კომპანიებს, ასევე უცხოურ კომერციულ და საინვესტიციო ბანკებს, გარკვეული ნიშნითა და მიზნით შექმნილ საბანკო ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან საბანკო და მცირე-საშუალო ბიზნესების განვითარებას გარდამავალ ეკონომიკებში.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), რომელიც უკვე რამდენიმე წელია დაკავებულია საქართველოში ბანკების მიზნობრივი დაკრედიტებით. ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი საკუთარ რესურსებს მოიძიებს ევროპული ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებიდან და იგი უშუალოდ არ მონაწილეობს დაკრედიტებული ორგანიზაციის მართვის პროცესში. აღნიშნულ ბანკსა და მის მსგავს ორგანიზაციებს ახასიათებს ის, რომ ისინი გაცემენ კრედიტებს გრძელვადიანი და დაბალი საპროცენტო განაკვეთით და მასთან თანდართული საშელავათო პერიოდებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) შექმნის მიზანი იყო ისეთი ქვეყნებისთვის და ორგანიზაციებისთვის, რომელთათვისაც სხვა საკრედიტო რესურსი არ არის ხელმისაწვდომი, საკრედიტო რესურსი გაეხადა ხელმისაწვდომი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მსგავსი ორგანიზაციები კრედიტებს, როგორც წესი გაცემენ ადგილობრივ ბანკებზე როგორც შემდგომი დაკრედიტების რესურსს. ეს კრედიტი ყოველთვის გაიცემა კონკრეტული მიზნებისთვის რაც საზოგადოებისთვის ცნობილი ხდება უშუალოდ ამ ბანკის ინტერნეტ გვერდიდან, ისევე როგორც ზოგიერთი კომერციული ბანკის წლიური ანგარიშიდანაც.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ქართულ კომერციულ ბანკებზე გაცემული კრედიტების მიზნობრიობა განსაზღვრულია როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისთვის განკუთვნილი რესურსი. თუმცა, აქ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის ფაქტი, რომ არ ხდება იმის მონიტორინგი თუ რა საპროცენტო განაკვეთით მოახდინა ბანკმა შემდეგ დაკრედიტება და მიუწვდება თუ არა ხელი ამ რესურსზე დამწყებ ან ისეთ მცირე და საშუალო ბიზნესს, რომელსაც სხვა შემთხვევებში ბანკები უარს ეტყოდნენ კრედიტებზე არ საკმარისი კაპიტალის ან უზრუნველყოფის გამო. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვინაიდან საბოლოოდ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის კრედიტის დაბრუნება ისევე

კომერციული ბანკის ვალდებულებაა და შესაბამისად შემდგომი დაკრედიტების რისკიც ამ ბანკების მხრეზეა.

გარდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტებისა, საქართველოში ასევე მრავალი საკრედიტო რესურსი შემოვიდა სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან, ძირითადად გრძელვადიანი კრედიტებისა და საკრედიტო ხაზების სახით.

2008 წლიდან საქართველოში მასიურად დაიწყო ფინანსური რესურსების მოზიდვა ბანკებში. ეს რესურსები არ არის მხოლოდ საკრედიტო ტიპის, არამედ უცხოური კერძო თუ ინსტიტუტციონალური ინვესტორების მიერ აქციების სახით ჩადებული. ეს უმნიშვნელოვანესი წყაროა დაფინანსების და იგი სხვაგვარ გავლენას ახდენს ბანკებზე და მათ მიერ ამ თანხების განკარგვაზე. ეს ბანკებია: “საქართველოს ბანკი”, რომლის ინსტიტუტციონალური ინვესტორები საკმაოდ დივერსიფიცირებულნი არიან; “თი ბი სი” ბანკი, რომელმაც გასულ წელს შეიერთა “ბანკი რესპუბლიკა”. ამ დივერსიფიკაციას, თავისთავად მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმაზე, თუ როგორ აისახება ეს ბანკების ქმედებებსა და მათ მიერ მცირე და საშუალო ბიზნესების დაკრედიტებაზე.

2015 წლის განმავლობაში ქართულ ბანკებს თავიანთ უცხოელ კრედიტორებისთვის უნდა გადაეხადათ დაახლოებით 1.4 მილიარდი ამერიკული დოლარი. მომდევნო, 2016 წლის განმავლობაში — 506.7 მილიონი, ხოლო 2017 წლისთვის გადასახდელი თანხა ოთხჯერ გაიზარდა და 2 მილიარდ დოლარს მიაღწია. ჯამში ქართულ საბანკო სისტემას უახლოეს წლებში უცხოელი კრედიტორებისთვის გადასახდელი აქვთ 4.4 მილიარდი აშშ დოლარი. საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის ეს საკმაოდ დიდი თანხაა და რაც ასევე საინტერესოა, ბანკების ვალი აღემატება საქართველოს სახელმწიფო ვალს, რაც 4 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.[5]

რა თქმა უნდა, ბანკთაშორისი კრედიტი, საერთაშორისო ორგანიზაციების და უცხოური ბანკების მიერ საკრედიტო ხაზების გახსნა ჩვეულებრივი საბანკო ოპერაციებია, მაგრამ, ეროვნული ბანკის მონაცემების გაცნობის შემდეგ, კითხვები ჩნდება ქართული საბანკო სისტემის მიმართ. კერძოდ, რამდენია საბანკო სექტორის ვალი უცხოელი კრედიტორების მიმართ? — 2.7 მილიარდი დოლარი. ანუ, ქართულმა საბანკო სექტორმა უცხოეთიდან მოიზიდა 2.7 მილიარდი აშშ დოლარი და უკან დასაბრუნებელი აქვს 4.4 მილიარდი, რაც 1.4 მილიარდი აშშ დოლარით მეტია ძირითად თანხაზე. როგორც ვხედავთ, ამ ვალის მომსახურების ხარჯი 50%-ს აღემატება. ბუნებრივია, ეს იწვევს კითხვას — რა საპროცენტო განაკვეთით “სესხულობდა” ქართული საბანკო სექტორი ამ თანხებს უცხოელი კრედიტორებისგან?[5] ჩვენ ვიცით, რომ ასეთი “საპროცენტო განაკვეთები” არც უცხოურ ბანკებს აქვთ და მით უმეტეს, არა აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. საიდან შეიძლება წარმოშობილიყო ასეთი კატასტროფული

სხვაობა?

ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის რომ, ქართული საბანკო სექტორი ვერ ემსახურება ამ ვალებს შეთანხმებული გრაფიკით, ვერ იხდის დროულად გადასახდელ თანხას, რის გამოც მათ უგროვდებათ ვადაგადაცილებული დავალიანებები, რაც მკვეთრად ზრდის საპროცენტო განაკვეთს და შესაბამისად, ვალის მომსახურების ხარჯს. თუ, ეს არის რეალური მიზეზი, ჩნდება კითხვა — რატომ ვერ იხდის ქართული საბანკო სექტორი დროულად ვალებს? რა პრობლემების წინაშე არიან ისინი? სწორედ ეს უნდა გაარკვიოს ხელისუფლებამ და ამიტომაც უნდა ჩაიხედოს საბანკო სექტორის საქმიანობაში უფრო ღრმად, რომ დროულად მიიღოს ზომები, რათა თავიდან აიცილოს სერიოზული პრობლემები.

რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას? თუ ქართული ბანკები ვერ შეძლებენ დროულად დაფარონ მათ მიერ უცხოეთიდან აღებული სესხები, ეს კრედიტორები მოთხოვენ საქართველოს მთავრობას, რომ საქართველოს ბიუჯეტიდან მოხდეს ამ დავალიანებების დაფარვა. სწორედ ასე მოხდა სულ ცოტა ხნის ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საბერძნეთში და ისლანდიაში. ზენოლა იქნება საკმაოდ სერიოზული, რადგან ქართულ საბანკო სექტორს აქვს როგორც მსხვილი უცხოური ბანკების, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების — ევროპის რეკონსტრუქციისა განვითარების ბანკის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვალები. ამიტომაც აუცილებელია, რომ ხელისუფლება მუდმივად თვალყურს ადევნებდეს ამ პროცესებს და აკონტროლებდეს მას. ქართული საბანკო სექტორის ვალი უცხოელ კრედიტორებზე დღითიდღე იზრდება.

საქართველოს რეალობაში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა იყო და არის, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი. ე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბ., 2009
2. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის პროგრამის მოკლე მიმოხილვა, 2012, 4
3. მუშკუდიანი, ზ. საბანკო სექტორის მდგრადობის როლი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფაში (დისერტაცია), თბ., 2015
4. პროექტი სტრატეგია საქართველოსთვის (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი)
5. http://www.for.ge/view.php?for_id=41712&cat=9
6. http://www.for.ge/view.php?for_id=41712&blogger_id=22&cathttp://esu.edu.ge/view_news.php?news=news&id=392=12